

# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N117/გ

ქ. მცხეთა

03 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ, ფ.პ „ვალერიანი გოგსაძე“ შემდგომში „მიმწოდებელი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მოწყობილობების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. (CPV50700000).

## 2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2016 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 4990 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას;

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებელს“ არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი მომსახურების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დაგები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დაგები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მომწოდებელი“ და „შემსყიდველი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დაგვა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბროძელი.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი“

„შემსყიდველი“

ფ.პ „ვალერიანი გოქსაძე“

პირადი N31001017834

ბანკი: „საქართველოს ბანკი“-ს

ბ/კ BAGAGE22

ა/ა GE49BG0000000724073500

მის.ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №40

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ს/კოდი: 236098824

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022

მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

ფიზიკური პირი

გ. გოქსაძე

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე

591 10 50 70

